ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 3722336001**

თარიღი:**02/12/2022**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა,ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ქეთევან ხომერიკის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივითვი თმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 66-ე მუხლის და ,,პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ქეთევან ხომერიკი მივლინებული იქნას საფრანგეთში ქალაქ პარიზში. „პარიზის მერის და CEMR საფრანგეთის ასოციაციის (AFGGRE) პრეზიდენტის მიერ ორგანიზებულ ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს პოლიტიკის კომიტეტის მომდევნო შეხვედრაზე” 2022 წლის 4 და 9 - დეკემბრის ჩათვლით.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების წინსწრებით ანაზღაურების უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი